

## ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

სექტემბრის თვეში საგადასახადო კანონმდებლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განხორციელებულა. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა, რაც განპირობებულ იქნა სხვა საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებებით.

## სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

სექტემბერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან აღსანიშნავია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, ასევე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში და მის თანმდევ საკანონმდებლო აქტებში შესული ცვლილებები.

### „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი

2020 წლის 18 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი. კანონის ძირითადი ტექსტის (კანონის 123 მუხლიდან 121 მუხლის) ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 1 აპრილი, იმ მიზნით, რომ კანონის მიღებიდან მის სრულად ამოქმედებამდე გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

კანონის მიღებასთან დაკავშირებით, ძირითადად ტექნიკური ხასიათის ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, კონკურენციის შესახებ კანონში და სხვა საკანონმდებლო აქტებში. ყველა მითითებულ აქტში განხორციელებული ცვლილებები ასევე ამოქმედდება 2020 წლის 1 აპრილიდან.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით შემოთავაზებული სიახლეების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს მიერ მომზადებულ 2020 წლის თებერვლის საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვაში.

### „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები

კონკურენციის სამართლის სფეროში ევროკავშირის სამართალში არსებულ მატერიალურ და პროცედურულ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებები ემსახურება მთელი რიგი პრაქტიკული და სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრას და კანონის აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესებას.

კანონში შესული ცვლილებებით ხდება რეგულირების და კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის, ასევე კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციების გაზრდა, შემოდის აღსრულების მექანიზმები და სასამართლოს კონტროლის ელემენტები.

ცვლილების საფუძველზე სასამართლოს მეშვეობით დასაშვები ხდება ისეთი კონცენტრაციის გაუქმება (შერწყმის დაშლა, ყველა აუცილებელი აქტივისა და წილის გაყიდვა), რომელიც იწვევს ეფექტიანი კონკურენციის შეზღუდვას.

ცვლილებით ხდება კონცენტრაციის შეტყობინების განხილვისთვის სავალდებულო მოსაკრებლის დაწესება 5000 ლარის ოდენობით. ამასთანავე კონცენტრაციის შეტყობინების ვალდებულებისთვის მხოლოდ წლიური ბრუნვა (20 მილიონი ლარი) ხდება განმსაზღვრელი და აქტივების ღირებულება მხედველობაში აღარ მიიღება.

მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციის ეროვნული სააგენტო ხდება კოლეგიური ორგანო და ისეთ საკითხებზე, როგორცაა სააგენტოს სტრუქტურის და სამტატო ნუსხის დამტკიცება, მოკვლევის დაწყება ან უარი მოკვლევის დაწყებაზე, მოკვლევის შედეგად საბოლოო გადაწყვეტილების მიღება,

ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა, კონცენტრაციაზე თანხმობის ან უარის განცხადება და სხვა გადადის სააგენტოს საბჭოს კომპეტენციაში.

ცვლილებებით ხდება საჩივრების განხილვის ვადების გაზრდა, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ძველი რედაქციით საჩივრის განხილვისთვის გათვალისწინებული ვადა საკმარისი არ იყო კომპლექსური საქმის (სადაც აუცილებელია ბაზრის კვლევის ჩატარება) შესწავლისთვის და დაინტერესებული მხარისთვის საკუთარი მოსაზრებების და არგუმენტების წარდგენისთვის, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, მოკვლევის ვადა შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

კანონში შესული ცვლილებების უდიდესი ნაწილი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს, ე.ი. 2020 წლის 4 ნოემბრიდან.

### ცვლილებები ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით შემოღებულ იქნა სასამართლო კონტროლის მექანიზმი კონკურენციის სფეროში არსებულ ცალკეულ სამართალურთიერთობებზე, რამაც განაპირობა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შესაბამისი პროცედურული დებულებების ასახვის აუცილებლობა.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სასამართლოს თანხმობის საფუძველზე იმ ეკონომიკური აგენტების ადგილზე

შემოწმებას, რომელთა მიმართაც დაწყებულია საქმის მოკვლევა. ასევე მითითებული კანონის თანახმად, „კონკურენციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად სააგენტოს ცალკეულ შემთხვევაში უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების მოთხოვნით, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, ასევე დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევისას, სააგენტოს უფლება აქვს სასამართლოს წინაშე დასვას მისი იძულებითი დაყოფის საკითხი.

ამრიგად, კონკურენციის სამართალს მიკუთვნებულ საკითხებზე სასამართლოსთვის სათანადო მარეგულირებელი წესების შემოღების აუცილებლობამ განაპირობა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში VII(16) თავის დამატება, რომლითაც მოწესრიგდება ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით, VII(17) თავის დამატება, რომლითაც მოწესრიგდება ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით, VII(18) თავის დამატება, რომლითაც მოწესრიგდება ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით და VII(19) თავის დამატება, რომლითაც მოწესრიგდება ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის გაუქმებისა და ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხთან დაკავშირებით.

**Contact information**

bakertilly  
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.  
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge  
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.